2-3459/20
26-02-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში განიხილება პარლამენტის წევრების გიორგი ბოკერიასა და ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 108-ე მუხლის შესაბამისად ინიციირებული ალტერნატიული კანონების პროექტები (№07-3/324; 11.4.2019) საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონების პროექტებზე (№07-2/303; 31.12.2018).

ალტერნატიული კანონის პროექტების განხილვის ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 3 მარტი.

დამატებითი კონსულტაციების გამართვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მოგმართავთ კანონის პროექტების განხილვის ვადის 3 თვით გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
დავითი მათიკაშვილი